F1/2 №12914
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 138 ივლისი 1, კვირა — 1890 — ივლისი 1, კვირა № 138

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„Иверія" (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძველს პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია“ პირველის ივლისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

1137

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა გულითადის მწუხარებით უწყებს გარდაცვალებას თავისმამისას გრიგოლ პეტრეს ძის მესხიშვილისას ქ. ახალციხეში და სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, რათა მობრძანდნენ პანაშვიდზე ორშაბათს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში, შუა ბაზარში. (1—1)

დღეს, კვირას „სემეინი“ ბაღში დანიშნულია

კონცერტი

ქართულის ხოროსი ბ-ნ რატილის ლოტბარობით ამის გარდა რუსული წარმოდგენაც იქნება.

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცდა

(კრებული)

II

ფასი წიგნისა 50 კაპ. (10—7)

ტფილისი, 30 ივნისი

ვინ არ იცის, რომ ლიტერატურა, მწერლობა არის ერის უტყუარი სახე, უტყუარი სარკე. მწერლობაში ირიცხება ერის სურვილი და ნატვრა, მისი ჭკუის ნაღვაწ-ნაშრომი და წაუშლელად რჩება მომავალ თაობისა და მოდგმისათვის. რომელიმე ერი კიდეც რომ გაჰქრეს დროთა ბრუნვაში, მის ლიტერატურასა და მწერლობაში მაინც დარჩება მისი სახეობრივი სახე, ფიზიონომია და მის შემწეობით გარეშე მაყურებელს, ერის მკვლევარს ადვილად შეეძლება აღადგინოს გამქრალის ერის გონებრივი და ზნეობრივი თვისებანი. თუ ლიტერატურა და მწერლობა ასე უტყუარად ჰხატავს ერის სულის ვითარებას, მეორეს მხრით არც თვით ლიტერატურა რჩება ისე, რომ ზედ გავლენა არა ჰქონდეს ერის ცხოვრებაზედ. სადი და ცხოველი ლიტერატურა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყოველს ამბავს, აღნიშნავს სასიამოვნო გარემოებას, დაურიდებლივ ჰკიცხავს ერის ნაკლულევანებას და ამასთანვე უჩვენებს უკეთესს იდეალებს, რომელსაც უნდა ეტანებოდეს ერი. ამ გვარი დაურღვეველი კავშირია ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის.

რაც ითქმის საზოგადოდ ლიტერატურაზე, იგივე თავისუფლად შეიძლება მოეთხოვოს ჩვენს ლიტერატურასა და მწერლობასაც. მართალია, ჩვენი ლიტერატურა და მწერლობა ნორჩია, მართალია, ჯერ იგი ჯეროვანად არ გაფურჩქვნილა, ჯერ მაგრად ფესვები არ გაუდგამს და ერის ცხოვრებაზედაც აგრე თვალსაჩინოდ ვერ ზედ-მოქმედობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენი ლიტერატურა დღითი-დღე იზრდება, ზურგს იმაგრებს, როგორც რაოდენობით, ისე სიკეთით და იმედიც არის მალე განვითარების იმ ხარისხამდე ავა, რომ შეეძლება თვისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს. მართალია, ჩვენს ლიტერატურასა და მწერლობას ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება სულს უხუთავს და ნებას არ აძლევს ფრთები გაშალოს და აღმა-ფრენით ინავარდოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ზნეობრივ და გონებრივ ძალას ვერა რაიმე ბუნების ძალა ვერ შეაჩერებს და ვერ შეარყევს. დროებით შეიძლება შეფერხდეს, მაგრამ სწორე და ნამდვილ გზას მაინც არ გადუხვევს და ღონღილით მაინც წინ მსვლელობას არ დაიშლის.

ამ აზრს ცხადად ამტკიცებს და ასაბუთებს ჩვენის ნორჩის ლიტერატურის და მწერლობის ისტორია. რა იყო იგი ამ ოცის წლის წინად, რას წარმოადგენდა? მხოლოდ ორი ოდე მუშაკი ჰყავდა ჩვენს მწერლობას, მხოლოდ ორი-სამი კაცი მუშაობდა და მოღვაწეობდა ეგლიან სალიტერატურო ასპარეზზედ, მარტო ისინი არ ანელებდნენ განათლების ლამპარს. წელიწადში ბევრი-ბევრი ორი სამი წიგნაკი დაბეჭდილიყო, სულ ორას სამასი ეგზემპლიარი, თითო-ოროლა საცოდავი კალენდარი, ალმანახი, ან კრებული თუ დაიბეჭდებოდა ქართულს ენაზედ, ერთი საცოდავი ტიპოგრაფია თუ სულ-დგმულობდა, თორემ სხვა არა იყო-რა. მაშინდელის ლიტერატურის მოღვაწე მწერალიც იყო, დამბეჭდელიც, თითქმის ამწყობიც და ბევრჯელ თვითონვე იყო თავის წიგნის მსყიდველიცა და მკითხველიც. რაც ქართულ ენაზედ წიგნები მოიპოვებოდა, შეიძლებოდა კაცს ეყიდა სულ ოც-ოც-და-ხუთ მანეთად.

ეხლა? ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ. ეხლა ჩვენში დამკვიდრდა ლიტერატორის სახელწოდება და შეიქმნა იგი საპატიო სახელწოდებად. ეხლანდელი ლიტერატურა მწერალს ცხოვრების ცოტაოდენს სახსარსაც-კი აძლევს; წიგნები იბეჭდება ორ-სამობით-კი არა წელიწადში, თითქმის ასობით. გამრავლდა წიგნის საწყობები და მაღაზიები; ასე გასინჯეთ, მიყრუებულ პროვინციებშიც-კი მიჰყვეს ხელი ქართულის წიგნების ბეჭდვას. კალენდრების რიცხვი ხომ სოკოსავით გამრავლდა ჩვენს მწერლობაში. რაოდენობა ქართულის წიგნებისა ისეთია, რომ ოც-დახუთი მანეთით-კი არა, ოცი თუმნითაც ვერ შეიძენთ ყველა წიგნებს. მარტო ამ უკანასკნელ კვირაში დაიბეჭდა რამდენიმე თვალსაჩინო წიგნი: ჟურნალი „ჯეჯილი“, „ისტორიული ნარკვევი“, „ცდის“ მეორე ნომერი, „კიკოლას ნაამბობი“, „ირაკლის აღზრდა“, „წყალობა“, „ქიტესა“ და სხვა. ყველა ეს წიგნები იბეჭდება არა ნაკლებ ათასისა და ათას-ორასის ეგზემპლიარისა. ერთის, სიტყვით ჩვენს ლიტერატურას და მწერლობას, მიუხედავად ათასის დაბრკოლებისა, ეტყობა ნიშნები წინ-მსვლელობისა და წარმატებისა.

მაგრამ თუ გვინდა, რომ ლიტერატურა და მწერლობა შეიქმნეს ზნეობრივ და გონებრივ ძალად, თუ გვინდა, რომ იგი გახდეს ერის-ხელმძღვანელი და მისის ცხოვრების მესვეური, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და გარჯასა და ღვაწლს ერთი ორად უნდა უმატოს ჩვენმა ინტელიგენციამ. აქამდისინ ჩვენის უკეთესის მწერლების ნაღვაწ-ნაშრომი ჯერაც არ არის ერთად შეკრებილი და დაბეჭდილი. ჩვენი მოზარდი თაობა, ჩვენი ყმაწვილი კაცობა რამ უნდა აღზარდოს, რამ უნდა შთაუნერგოს სამშობლოს ცხოველი სიყვა-

## ფელეტონი

### ერთმა გლეხმა ორი ღენერალი გამოაძღო.

(შჩედრინისა)

იყო ორი ღენერალი, და რადგანაც ორივე მეტის-მეტად ქარაფშუტა რამ ბრძანდებოდნენ, უეცრად და ჩემის ნებითა საქარაფშუტო გემით ამოჰყვეს თავი ერთს გავერანებულს კუნძულზე.

მსახურებდნენ ღენერლები მთელი თავისი სიცოცხლე რაღაც რეგისტრატურაში, იქ დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ და მოხუცდნენ კიდეც. მაშასადამე, ინჩიც არა გაეგებოდათ არაფრისა. ასე გასინჯეთ, სიტყვებიც-კი არ იცოდნენ საკმაოდ, გარდა: „გთხოვთ მიიღოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რწმუნება ჩემის თქვენდამი ერთგულებისა და პატივისცემისა“.

გააუქმეს რეგისტრატურა უსაჭიროობის გამო და დასთხოვეს ღენერლები თავიანთ ნებაზე. დარჩნენ-რა შტატს გარეთ, დაბინავდნენ ღენერლები პეტერბურგში, პოდიაჩესკის ქუჩაზე, სხვა-და-სხვა სახლში: თითოეულ მათგანს თავისი მზარეული გოგო ჰყავდა და პენსიას იღებდა, მაგრამ, ვიმეორებ, უეცრად ამოჰყვეს თავი ორივემ ერთ ცალიერ კუნძულზე, გამოიღვიძეს და ჰხედავენ, რომ ორივენი ერთ საბან ქვეშა წვანან. რასაკვირველია, პირველად ვერაფერი ვერ გაიგეს და მუსაიფს მოჰყვნენ, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოსო.

— გასაოცარი სიზმარი მეზმანა წუხელ, თქვენო აღმატებულებავ, უთხრა ერთმა ღენერალმა მეორეს: ვხედავ, რომ ვითომ ერთ ვერანა კუნძულზე ვცხოვრობ...

სთქვა ესა და წამოვარდა ზეზე. წამოხტა მეორე ღენერალიც.

— ღმერთო დიდებულო! ეგ რა ამბავია! სადა ვართ, დაიძახეს ორივემ საშინელის ხმით და დაუწყეს ერთი მეორეს ჩქმეტა: სიზმარშია თუ ცხადადაა ჩვენს თავზე ეს უბედურებაო. მაგრამ, თუმცა ბევრსა სცდილობდნენ დაერწმუნებინათ თავიანთი თავი, რომ სიზმარში ვართო, ცხადი სინამდვილე მაინც არ აძლევდა მოსვენებას.

მათ წინ ერთის მხრით გამოჭიმული იყო ზღვა, მეორეს მხრით იყო პატარა მიწის ნაჭერი, რომლის იქით მიდიოდა იგივე თვალ-უწვდენელი ოკეანე. ატირდნენ ღენერლები პირველად მას შემდეგ, რაც-კი დაიხურა რეგისტრატურა.

დაუწყეს ამას შემდეგ სინჯვა ერთმანეთს და დაინახეს, რომ ორივე ღამის პერანგებში იყვნენ და ორივეს კისერზე თითო ორდენი ჰქონდა ჩამოპორწიალებული.

— ეხლა კარგი-კია ყავის დალევა! სთქვა ერთმა ღენერალმა, მაგრამ გაახსენდა, რა გასაოცარ ხიფათშიაც იყო ჩავარდნილი, და ხელ-ახლად დაიწყო ტირილი.

— არა, რა უნდა ვქნათ ეხლა? განაგრძო მანვე ცრემლით: ეხლა, „დოკლადი“ რომ დავწეროთ, ვთქვათ, იქნება, ნეტავი, რამე სარგებლობა, თუ არა?

— აი რა, უპასუხა მეორე ღენერალმა: წაბრძანდით თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, აღმოსავლეთისკენ, მე წავალ დასავლეთისკენ, და საღამოს ხელ-ახლად ამ ადგილზე მოვიყაროთ თავი; შეიძლება კიდეც წავაწყდეთ რასმეს. დაიწყეს ძებნა, სადაა აღმოსავლეთი და სადაა დასავლეთიო. გაახსენდათ, რომ ერთხელ უფროსმა ბრძანა: თუ გინდა მონახო აღმოსავლეთი, პირი ჩრდილოეთისკენ იბრუნე და მარჯვენივ გექნება ის, რასაც ეძებო. დაუწყეს ეხლა ძებნა ჩრდილოეთს, ხან ასე გაჩერდნენ, ხან ისე, გამოსცადეს ქვეყნის ყველა მხარე, მაგრამ, რადგანაც მთელი თავიანთი სიცოცხლე სულ რეგისტრატურაში გაეტარებინათ, რასაკვირველია, ვერაფერი ვერ მოაგვარეს.

— აი რა, თქვენო აღმატებულებავ: თქვენ მარჯვენივ წაბრძანდით, მე მარცხნივ წავალ. ასე, დამიჯერეთ, უკეთესი იქნება, სთქვა ერთმა ღენერალმა, რომელიც, რეგისტრატურას გარდა, სამხედრო კანტონისტების სკოლაში კალიგრაფიის მასწავლებლად მსახურებდა და, მაშასადამე, ცოტა უფრო ჭკვიანი იყო. ჰსთქვეს და აასრულეს კიდეც თავიანთი ნათქვამი. ერთი ღენერალი წავიდა მარჯვენივ და რა ჰნახა: გაზრდილა ხეები და ხეებზე ათას გვარი, ნაირ-ნაირი ხილეულობაა. უნდა ღენერალს მოსწყვიტოს თუნდ ერთი ვაშლი, მაგრამ ყველა ისე მაღლაა, რომ ხეზე ასვლაა საჭირო. მოინდომა კიდეც ასვლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, პერანგი დაიფხრიწა მარტო უსარგებლოდ. მივიდა ღენერალი წყაროსთან და ნახა, რომ თევზი, თითქო საგანგებო აუზშიაო, დაცურავდა და ხტოდა, დაცურავდა და ხტოდა.

— უჰ, ეს თევზი პოდიაჩესკის ქუჩაზე მომცა... ჰმ, რა მშვენიერება იქნება! ამოიხვნეშა ღენერალმა და სახეც-კი გამოეცვალა მეტის-მეტის მადისაგან.

შევიდა ღენერალი ტყეში და რა ჰნახა: ტყის ქათმები ჰსტვენენ, როჭოები კაკანებენ, კურდღლები დარბიან.

— ღმერთო! რამდენი რამ საჭმელია ირგვლივ! სთქვა ღენერალმა და იგრძნო კიდეც, რომ უწუხდება გული.

მეტი რა გზა იყო, დაბრუნდა ღენერალი ხელ-ცალიერი დანიშნულს ალაგას. დაბრუნდა და ჰნახა, რომ მეორე ღენერალიც იქვე იდგა და უცდიდა.

— აბა, იშოვეთ რამე, თქვენო აღმატებულებავ?

— აი, აგერ „მოსკოვის უწყებების“ ერთი ნომერი ვნახე, მეტი ვერაფერი!

წამოწვნენ ღენერლები და მოინდომეს დაძინება, მაგრამ როგორ დაეძინებოდათ კუჭ-ცალიერი. ხან ის აზრი აწუხებდათ, ვინ აიღებს ეხლა ჩვენ მაგიერ პენსიასაო, ხან მოაგონდებოდათ დღით ნანახი ხილეულობა, თევზები, ტყის ქათმები, როჭოები, კურდღლები...

— ვინ იფიქრებდა, თქვენო აღმატებულებავ, რომ კაცის საზრდო დაფრინავს, დაცურავს და ხეზე იზრდებაო? სთქვა ერთმა ღენერალმა.

— დიახ, უპასუხა მეორემ: უნდა გამოვტყდე, მეც ამდენს ხანს ისე ვფიქრობდი, რომ პური ისე კეთდება, როგორც ის, მაგალითად, დილ-დილაობით ყავასთან რომ შემოაქვთ ხოლმე.

— მაშ, ეხლა, ვსთქვათ, მე რომ კაკაბის ჭამა მინდოდეს, ჯერ უნდა დავიჭირო, მერე დავკლა, ბუმბული შემოვაცალო, შევწვა... კარგი, მაგრამ როგორ უნდა მოვახერხოთ ესა?

— როგორ უნდა მოვახერხოთ?! თითქო ჰყურიაო, ხმა მისცა მეორე ღენერალმა.

რუდლი, რამ უნდა შეაყვაროს თვისი ბუნება, წარსული და მომავალი? ვგონებთ, ეს საგანი ღირსია, რომ უყურადღებოდ არ იქმნას დატოვებული.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 28 თიბათვეს, ნაშუადღევის მატარებლით ციმბირში გაისტუმრეს სამი დამნაშავე: ივანოვი, რომელსაც ჰბრალდებოდა მოპარვა 300,000 მანათისა ტფილისის ხაზინიდგან, კობიაშვილი, რომელმაც ჩხუბის დროს ღვიძლი ძმა მოჰკლა და იგდირის ფოსტის უფროსად ნამყოფი ემელჩიკოვი, რომელსაც ჰბრალდებოდა მოპარვა სახელმწიფო ფულისა. რკინის გზის სადგურზედ დამნაშავეთ გამოჰყვა დიდ-ძალი ნათესაობა და ნაცნობობა. ნათესაობა და ნამეტნავად ცოლშვილი ივანოვისა მწარედ ქვითინებდა. თვით დამნაშავეთ ივანოვმა და კობიაშვილმაც ველარ შეიკავეს ცრემლები და ტირილით გამოეთხოვნენ ნაცნობებს. მხოლოდ იგდირის ფოსტის უფროსად ნამყოფი არაფრად იმჩნევდა სასჯელს და გულ მაგრა იყო.

*** ჩვენის გაზეთის მკითხველს ეხსომება, რომ გუბერნიის მთავრობამ შეადგინა „სოფლის დებულება“, გადაათარგმნინა ადგილობრივს ენებზედ და წარადგინა, სადაც ჯერ არს, დაბეჭდვის ნება-რთვის ასაღებად. როგორც შევიტყეთ, ეს „დებულება“ არ დაიბეჭდება, რადგან უმაღლეს მთავრობას სურვილი არ გამოუცხადებია იმის დაბეჭდვისა. უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს მოკლე ხანში შემოიღოს სულ ახალი „დებულება“, რომლითაც ძირიანად შეიცვლება სოფლის თვით-მმართველობის საქმეო. ამის გამო ძველის „დებულების“ დაბეჭდვა საჭიროდ აღარ უცვნიათ.

*** გუშინ, 29 ივნისს, ნიაღვარმა ოქროყანის დიდს ხევში ერთი პატარა, თორმეტის წლის მწყემსი გრიგოლ იმესაშვილი დაარჩო. როდესაც საბრალო ძროხებს აძოვებდა, ხევში უეცრად დიდის წვიმის ნიაღვარი წამოვიდა და მოსტაცა ძროხა, ბავშვს შეშინებოდა, თუ ძროხა დაირჩო, მამაჩემს ცოცხალის თავით ველარ ვეჩვენებიო და ამიტომ ჩაჰყოლოდა ძროხას წყალში, მაგრამ ნიაღვარს ისიც მალე ჩაეთრია და ხევ-ხევ სოლოლაკისკენ წამოეღო. იქვე ახლო-მახლოც არავინა ყოფილიყო, რომ მიშველებოდა, ერთის პაწია მწყემსის მეტი. ეს მწყემსი გაქცეულიყო და შეეტყობინებინა იმ ბავშვის დედმამისთვის, მაგრამ გვიანღა იყო. მთლად დამტვრეული და უსულო ბავშვი საბაქოს ზემოდგან გამოარიყა. თავის კანი შუბლიდგან კისრამდის გადატყავებული ჰქონდა და კისერზედ ეკიდა. წელის ძვლები და ყბები სულ მთლად დასჩეჩქვოდა და პირი მიწითა ჰქონდა გამოტენილი. ტანისამოსი წყალს შემოეფლითნა და მხოლოდ ცალ ფეხზედ წინდა, პაჭიჭი და პაჭიჭში ჩატანილი ცალის შარვლის ტოტი შერჩენოდა. მუხლის კვირისტავში ჩარჭობოდა ვეებერთელა პირიანი ქვა. საბრალო მამის მწუხარება და ტირილი ქვეყანას ცოდვით ავსებდა. რამდენჯერმე მოინდომა თავადაც ხევიდგან გადავარდნა ნიაღვარში, მაგრამ ხალხმა, როგორც იყო, დააშოშმინა ეს უბედური კაცი.

*** გუშინ-წინ, 29 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის თეატრში საზოგადოებამ ჰნახა და მოისმინა ედისონის ფონოგრაფი. ამ შესანიშნავის მანქანის სანახავად თეატრში საკმაო საზოგადოება შეიკრიბა. წარმოდგენა დაიწყო ცხრის ნახევარზედ. თვით მანქანა ხელით სატრიალებელ საკერავ მაშინასა ჰგავს და კარგა გარკვევითაც გადასცემს მსმენელს ყოველსავე ფირფიტაზედ აღნიშნულს. ფონოგრაფმა საზოგადოების წინაშე რამდენიმე პოლკა დაუკრა, რამდენიმე რუსული საგალობელი სთქვა, რამდენიმე მარში გადმოგვცა, მთელის ორკესტრის მიერ დაკრული, და, სხვათა შორის, განიმეორა აგრეთვე ბ-ნის არბანის მიერ პარიჟის მსოფლიო გამოფენის დროს დაკრული კორნეტ-პისტონზე გარტმანის ფანტაზია „Фаворитка“. საზოგადოება ფონოგრაფისა დიდი კმაყოფილი დარჩა და ზოგიერთი სათქმელი ორჯელ გაამეორებინა. მეტადრე ძალიან მოეწონათ რუსული საერო საგალობელი „Тройка“. მესამე განყოფილებაში, როდესაც ფონოგრაფს თვით საზოგადოების მიერვე ჩაძახილი უნდა აღენიშნა ფირფიტაზედ და უკანვე ამოეძახნა, ერთი ყმაწვილი კაცი მივიდა და ფედოროვის საკმაოდ ვრცელი ლექსი სთქვა „Одинъ изъ многихъ“. შემდეგ თვით ედისონის წარმომადგენელი ბ-ნი ღრეზი მივიდა და სტვენა დაიწყო. გაიარა რამდენმამე წუთმა, ფონოგრაფმა უკლებლად გაიმეორა ფედოროვის ლექსი და შემდეგ სტვენასაც მოჰყვა. აღტაცებულს საზოგადოებაში დიდის ტაშის-ცემა გაისმა. დასასრულ ფეხზედ ადგომილმა საზოგადოებამ ფონოგრაფის მიერ ნათქვამი „Боже царя храни“ მოისმინა და დაიშალა. დღეს მესამე წარმოდგენაა დანიშნული. ეს წარმოდგენა დაიწყება 6 საათზედ და 8 საათზე გათავდება, რადგან ამას შემდეგ ოპერეტი უნდა დაიწყოს.

*** გუშინ-წინვე მეორე კონცერტი გაჰმართა ბ-ნ რატილის ქართულმა ხორომ „სემეინი“ ბაღში. საზოგადოება აქაც საკმაოდ დაესწრო, თუმცა არა იმდენი, რამდენიც მოსალოდნელი იყო. განსაკუთრებით ქართველები იყვნენ ცოტანი. დღეს მესამეს და უკანასკნელს კონცერტსა ჰმართავს ეს ხორო იმავე ბაღში და სამშაბათს-კი რუსეთისაკენ გაემგზავრება.

*** არც გუშინ-წინ და არც გუშინ ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშა არ მოსულია, რადგან როსტოვთან მავთული გაფუჭებულა.

*** გუშინ-წინ, ივნისის 29, ავჭალის ქუჩაზე ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. გაქანებული ვაგონი მოდიოდა ცხენის რკინის-გზისა და, როცა სასულიერო სასწავლებელს გაუსწორდა, წინ ვიღაც უძლური მოხუცი დედაკაცი დაუხვდა, რომელიც მაშინვე დაფაცურდა, ეგები მალე მოვეცალო გზიდგანაო, მაგრამ ვაგონის შეყენება მაინც დასჭირდათ. გულ-მოსულმა და უმიზეზოდ განრისხებულმა მეეტლემ შოლტი გადუქნია და ისე მაგრად დაჰკრა გაღეღილს გულზედ, რომ საცოდავ ადამიანს ნახევარ არშინზე ტყავი აძვრა, სისხლი წასქდა და გული შეუწუხდა. პოლიციელმა ოსიპოვმა ოქმი შეადგინა, მეეტლე რეზნიკოვი სასამართლოში მისცეს და დაჭრილი ქალი-კი საქალაქო საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ხუთშაბათს, ივნისის 28, ანჩისხატის ეკკლესიაში მოინათლა ერთი ახალგაზრდა 20 წლის ებრაელი ქალი. ამ ქალს ერთი აქაური მოვაჭრე ირთავს.

*** ამ სამის დღის წინად ბათუმში რკინის-გზის მოსამსახურეების პოკატილოვისა და ექიმოვის სადგურში შესულა ვიღაც ლეკი, რევოლვერი უსროლია და ექიმოვი მოუკლავს. პოკატილოვს ფანჯრიდგან გადახტომა მოუსწრია, მხოლოდ გადახტომის დროს ფეხი მოუტეხია და ეხლა ტფილისის რკინის-გზის საავადმყოფოში იმყოფება. მიზეზი ამ უბედურობისა ჯერ-ჯერობით არ იციან.

*** სომხურ ჟურნალ „არძაგანქ“-ის რედაქტორს ბ-ნ ა. ა. იონისიანს საჩივარი შეუტანია სომხურისავე საკვირაო ჟურნალ „თარაზისა“ და საყმაწვილო ჟურნალ „აღბიურის“ რედაქტორებზედ და ბრალადა სდებს, რომ ამ რედაქტორებმა ცილი დამწამეს და უსაბუთოდ ცუდად მოიხსენიეს ჩემი კერძო ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობაო.

*** სოფ. ამაშუკეთი: რაღაც უბედურება დაჰყვა წელს ჩვენ ამაშუკეთის საზოგადოებას: არ იქმნა, მამასახლისი არ შევერჩა და არა. ამას წინად აქ ერთი ახალგაზრდა გლეხი ამოირჩიეს მამასახლისად. ეს გლეხი სინიდისიან და უანგარო კაცად იყო ცნობილი და ამიტომ იმის არჩევანზე რვაას კომლს კაცში რვას არ უთქვამს უარი. მაგრამ გაღიკიდა თუ არა ყელზე ჯაჭვი ამ ვაჟბატონმა, ყველა მოიმდურა. აქაურები ეხლაც იტყვიან ხოლმე იმაზედ: «თამბაქოსთვის რომ ჯიბეში ხელი ჩაგვეყო, იმას ეგონა, გასამსჯელოს რასმე თუ მაძლევსო». არ გასულა ორი თვე და აუვსწყსი ამ ვაჟბატონის ბოროტ-მოქმედობას: გადააძვრეს ჯაჭვი და ატუცვიეს თავი ეირის აბანოში. მას შემდეგ მეორე დანიშნეს, მაგრამ თუმცა პირველს სჯობდა, იმასაც იგივე დღე დაადგა. ეხლა მესამე გვყავს, გვარიანი ბიჭია და, ენახოთ, რა იქნება. ძალიან-კი გვეშინიან, ესეც არ გამოგვეცვალოს და ახლა მეოთხედ არ გაგვიხდეს სამამასახლისო კაცის ძებნაო.

*** სოფ, ქოთუქდო: ჩვენ სოფელში ორმოცი მეკომურია. დღემდის ეკკლესია არა გვქონდა და დიდს გაჭირვებაში ვიყავით. ეხლა განვიზრახეთ საკუთარის ეკკლესიის აგება ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებასაც ვსთხოვეთ, რომ მღვდელი გამოგვიმწესონ.

*** ღვგოდესა (სიღნაღის მაზრა) ჩვენში ხვნა-თესვას გარდა, ხალხი მისდევს თამბაქოს თესვასაც. თამბაქო გვითესია მრავალი და მოსავალს მშვენიერი პირიც უჩანს. დაბა ლაგოდეხის არემარე დაბურულის ტყით არის

---

გაჩუმდნენ და მოინდომეს კვლავ ძილი, მაგრამ სიმშილი მოსვენებას არ აძლევდა. კაკბები, ინდაურები, გოჭები, თითქო ცხადად, ისე ელანდებოდათ თვალებში, წვნიანნი, შეწითლებულნი, კიტრებით, პკულითა და სხვა-და-სხვა გვარის სალათით.

— ისე მშიან, რომ, მგონია, საკუთარ წაღასაც-კი შევჭამდი! სთქვა ერთმა ღენერალმა.

— უცხო რამ არის ხელთათმანები, მაინც თუ დიდის ხნის ნატარებია! ამოიოხრა მეორე ღენერალმა.

უეცრად ორივემ შეჰხედეს ერთმანეთს: თვალები რაღაც ბოროტად გამოანათეს, კბილებმა დაუწყოთ კრაჭუნი, მკერდიდამ ყრუ ღმუილი მოისმა. აუჩქარებლად მიფოოთხდნენ ერთი-მეორესთან და თვალის დახამხამების უმალ დაიწყეს ანჩხლობა. გადაცვივდა აქეთ-იქით ნაგლეჯ ნაფლეთები, მოისმა წივილი, კვნესა; იმ ღენერალმა, რომელიც კალიგრაფიის მასწავლებლად ყოფილიყო, თავის ამხანაგს ორდენი მოაკვნიტა და ერთის თვალის დახამხამებაზედ გადაყლაპა. სისხლის დანახვამ-კი ცოტათი გამოაფხიზლა და გონზედ მოიყვანა გულ-გამწყრალნი.

— ჯვარი აქაურობას! სთქვეს ერთად: ასე ხომ ერთმანეთს დავჭამეთ!

— არა, როგორ ჩავვარდით ამ ყოფაში? ვინ არის ის ავაზაკი, რომელმაც ამ მდგომარეობაში ჩაგვაგდო?

— საჭიროა, თქვენო აღმატებულებავ, რაიმე მუსაიფი შევიქციოთ თავი, თორემ ერთმანეთი შემოგვეჭმება, წარმოსთქვა ერთმა ღენერალმა.

— მაშ, დაიწყეთ! უპასუხა მეორემ.

— როგორ ჰფიქრობთ, მაგალითად, ჯერ რად ამოდის მზე და მერე ჩადის, რატომ ჯერ არ ჩადის და მერე ისე არ ამოდის?

— ახირებული კაცი ბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ! განა თქვენ თითონ ჯერ არ ადგებით ხოლმე საწოლიდგან, მერე დეპარტამენტში მიდიხართ, იქ სწერთ და ბოლოს წვებით?

— ეს მართალია, მაგრამ, აბა ეხლა ასე გადმოაბრუნეთ სიტყვები: ჯერ მძინავს, სხვა-და-სხვა სიზმარს ვხედავ, და მერე ვდგები.

— ჰმ... ეგეც მართალია!.. მე-კი უნდა გამოვტყდე, როდესაც დეპარტამენტში ვმსახურებდი, სულ ასე ვფიქრობდი: აი ახლა დილაა-მეთქი, მერე შუა-დღე იქნება და მახუკან ვახშამი და ძილის დროც მოაწევს. ამ ვახშმის ხსენებაზე ორივე ღენერალი ჩაფიქრდა ჯავრისაგან და ბაასი დასაწყისშივე შესწყდა.

— გამიგონია ერთის ექიმისაგან, რომ კაცს დიდხანს შეუძლია იკვებოს თავი საკუთარის წვენითაო, დაიწყო კვლავ ერთმა ღენერალმა.

— ეგ როგორაა?

— როგორაა და ისე!.. საკუთარი წვენი სხვა საკუთარს წვენს გააჩენს, ის კიდევ, თავის მხრით, სხვას, სანამ სრულიად არ გამოილევა...

— მაშინ რაღა?

— მაშინ-კი საჭმელია საჭირო!..

— ფუ!..

ერთის სიტყვით, რაზედაც უნდა დაეწყოთ ლაპარაკი ღენერლებს, ბოლოს მაინც საჭმელი უნდა ეხსენებინათ და ეს კიდევ უფრო ულევიძებდათ მადას. გადასწყვიტეს: ლაპარაკი მოვსპოთო და, რადგანაც ამ დროს „მოსკოვის უწყებების“ ნომერი დაინახეს, იმის კითხვას მიჰყვეს ხელი.

„გუშინ, კითხულობდა აღელვებულის ხმით ერთი ღენერალი: ჩვენის ძველის ქალაქის პატივცემულ უფროსს ჩინებული მეჯლისი ჰქონდა. ასის კაცის სუფრა იყო გაშლილი საკვირველის სიუხვით, ყველა ქვეყნის საუნჯეს თითქოს პირობა შეეკრა ერთმანეთთან და აქ მოგროვილიყო, ამ საოცარს დღესასწაულზე. აქ იყო ოქროს ტარაღანა შექსნისა, კავკასიის ტყეებში დაჭერილი ხოხობი და თებერვალში ჩრდილოეთს ის ძვირად საშოვნი მარწყვი...

— აი, დასწყევლოს ღმერთმა! ნუ თუ არ შეგვიძლიანთ, თქვენო აღმატებულებავ, სხვა რამე წაიკითხოთ? წამოიძახა სასოწარკვეთილებით ერთმა ღენერალმა, გამოართვა გაზეთი თავის მეგობარს და ახლა თითონ დაუწყო კითხვა: „ტულიდგან გვწერენ გუშინდელ რიცხვს იმის გამო, რომ მდინარე უპში ვეებერთელა ზუთხი დაუჭერიათ. ასეთი ამბავი ჯერ მოხუცებულებსაც-კი არ ახსოვსთ აქ, უფრო, რომ ზუთხი ბოლოს პოლიციის ბოქაული ბ. აღმოჩნდა. ლხინის დროს ვეება ხის ანგრით შემოიტანეს ზუთხი კიტრებით შემოწყობილი და პირში მწვანილ-გარჭობილი. ექიმი პ., რომელიც კლუბის მორიგ უფროსად იყო ამ დღეს, ბეჯითად ადევნებდა თვალს, რომ ყველა სტუმარს რგებოდა თითო ნაჭერი. ამ ზუთხს სხვა-და-სხვა ნაირი და მეტის-მეტად გემრიელი საწებელი ჰქონდა“.

— ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, მოგახსენოთ, რომ არც თქვენ ბრძანებულხართ წინ-დახედული საკითხავ მასალის არჩევანში, გააწყვეტინა მეორე ღენერალმა, გამოართვა გაზეთი და აი რა წაიკითხა: „ვიატკიდგან გვწერენ: ერთმა ადგილობრივ მცხოვრებმა მოხუცმა გამოიგონა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს თევზის წვნიანი: ჯერ უნდა აიღოთ ცოცხალი ლორჯო, გაროზგოთ და, როდესაც ღვიძლი დარდისაგან გაუდიდდება...“

ღენერლებმა თავი ჩაჰკიდეს. ყოველიფერი, რაზედაც უნდა დაეწყოთ საუბარი, ჭამასა და საჭმელთან მიიყვანდათ ხოლმე. ბევრსა სცდილობღნენ დაევიწყებინათ შემწვარი და წითლად დაბრაწული ხორცი, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, თავს ვერა უშველეს-რა, მაინც თვალ-წინ უდგათ.

ამ დროს ერთს ღენერალს, ოდესმე კალლიგრაფიის მასწავლებლად ნამყოფს, ერთმა აზრმა გაუელვა თავში.

— რა იქნებოდა, თქვენო აღმატებულებავ, სთქვა მან სიხარულით, რომ სადმე ერთი გლეხი მოგვენახა?

— ესე იგი, როგორ... რა გლეხი?

— რა და უბრალო გლეხი... გლეხი რაღა! ის ჩვენ ბულკასაც მოგვიტანდა, კაკაბსაც დაგვიჭერდა და თევზსაც.

— ჰმ... გლეხი... მაგრამ სად უნდა იპოვო, როდესაც არსად არ მოიძებნება?

— როგორ არ არის გლეხი, გლეხი ყველგანაა, ოღონდ კარგად უნდა მოიძებნოს. უეჭველია, აქვე ახლო იქნება სადმე, მუშაობას გამოექცეოდა და დაიმალებოდა.

ამ აზრმა ისე გაახარა ღენერლები, რომ ბავშვებსავით წამოვარდნენ ზეზე და გლეხის ძებნას შეუდგნენ.

დიდხანს დაეხეტებოდნენ კუნძულზე უგარაოდ და ბოლოს ნაძოტის პურისა და ცხვრის ქურქის მჟავე სუნმა ერთს კვალზე დააყენა. ხის ქვეშ, პირაღმა და თავ-ქვეშ ხელებ ამოდებული თავ-სასთუმლად, ერთს უზარმაზარ

შემოსილი და ტყეებში დიდ-ძალი ნანგრევია ციხე-კოშკისა და საყდრებისა.

*** ივლისის 28 ტფილისის პოლიციის მეოთხე ნაწილში მცხოვრებელმა იაკობ ტაუგლიხმა წერილით გამოუცხადა პოლიციის მესამე ნაწილში, რომ ბარონის ქუჩაზე აზნ. ტიგრან ტერ-ოჰანეზოვმა ხელიდგან ვერცხლის საპაპიროსე გამომტაცა, 35 მან. ღირებულიო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ტერ-ოჰანეზოვს თვითვე ჰქონია თავისი ვერცხლის საპაპიროსე. 29 ივნისს იაკობ ტაუგლიხმა გამოაცხადა, რომ გუშინ ტერ-ოჰანეზოვს ჩემთვის ვერცხლის საპაპიროსე არ წაურთმევია. ტერ-ოჰანეზოვს რომ სიპაპიროსე ამოაჩნდა, თავისივეო. ტერ-ოჰანეზოვს იმიტომ დავაბრალე საპაპიროსეს წართმევა, რომ წინად იმასთან უსიამოვნება მომივიდაო. საპაპიროსე პატრონს ისევ დაუბრუნეს. ხოლო ტფილისის მოქალაქე იაკობ ტაუგლიხი ცილის-დაწამებისათვის სამართალშია მიცემული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჯიმითი (სიღნაღის მაზრა) 14 ივნისს. ყოველ სიღატაკესთანა და უბედურებასთან ის-ღა აკლდა ჩვენს სოფელს, რომ ქურდულად გადაწვაც შემოღებულიყო. ამ თთვის თერთმეტს, აქაურს შეძლებულ გლეხ-კაცის დათიკო ტურაშვილის სახლს, ღამის ათ საათზე, როცა კალოზედ არავინა ჰყავდა, ვიღაცა ბოროტმა კაცმა წაუკიდა ცეცხლი და სულ მთლად გადუწვა საბძელი და ჩარდახი, ას თუმანზედ მეტად ღირებული. ჩვენს სოფელში მკირად მოხდება ხოლმე ამ გვარი ბოროტ-მოქმედება, ამ ათი-თორმეტის წლის განმავლობაში ეს მესამე მაგალითია მგონი.

პოლიცია დაეძებს ბოროტ-მომქმედს, მაგრამ ჯერ ვერ უპოვია, თუმცა, იმედი-კი აქვს, იპოვის. ღმერთმა ინებოს, აღმოჩნდეს ეს არა-წმინდა და შეუბრალებელი ადამიანი და სამაგალითოდ დაისაჯოს; თორემ თუ ამ სისაძაგლემ დაუსჯელად ჩაიარა, უეჭველია, ეს სენი

უფრო ფესვს გაიდგამს და შემდეგ შეუძლებელი იქნება მასთან ბრძოლა.

თექვსმეტს ამ თთვეს ს. ჯიმითს მობრძანდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალავერდისა ბესარიონი, რომელიც სიღნაღის მაზრის ეკლესიების სარევიზიოდ დაიარება. ჩვენი სამღვდელოება ადგილობრივის ბლაღოჩინითურთ ყოვლად სამღვდელოს ეკლესიაში მიეგება. მცირე პარაკლისისა და ეკლესიის დათვალიერების შემდეგ, ყოვლად სამღვდელომ ხალხთან საუბარი ინება და დასხლოვებით შემდეგი სთქვა:

„ძმანო ქრისტიანენო! უნდა იცოდეთ, რომ, როგორც მთელს კავკასიაში საეროწოდების უფროსი კაცი მთავარ-მართებელია, ისე სასულიერო წოდების უფროსი მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი. იგი ვალდებულია ყოველ სამს წელს ერთხელ დაათვალიეროს ეკლესიები და სამრევლოები თავისის სამწყსოისა და შეატყოს იმათი ავიცა და კარგიც. მაგრამ, ვინაიდგან, ამ საქმეს გარდა, სხვა მრავალი საქმეცა აქვს, ამიტომ დათვალიერება სიღნაღის მაზრის ეკლესიებისა მე მომანდო და, აი, მე მსურს იმის სურვილი გამოვიცხადოთ. თქვენს სოფელს სკოლა არა ჰქონია, დიდად საჭიროა ეკლესიასთან სამრევლო სკოლა იქონიოთ. თქვენ ამით დიდი ხარჯი არ მოგელებათ. მღვდელი ვალდებული იქნება უსასყიდლოდ ასწავლოს თქვენს შვილებს, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. თქვენ მხოლოდ წიგნებისა და სტოლებისა ფასი დაგჭირდებათ და ეს ხარჯიკი სულ მცირე იქნება: წელიწადში თითო კომლს ბევრი-ბევრი ან თითო აბაზი შეხვდეს და ან ორ-ორი.

ამას გარდა ეკლესიასთან უნდა დაწესდეს სამზრუნველო, რომელსაც მღვდელი და სამიც სხვა სინიდისიანი ადამიანი უნდა შეადგენდეს. ეს სამზრუნველო თქვენ ამოირჩიეთ თქვენს შორის. მზრუნველებს გალად ის უნდა ედოთ, რომ ეკლესიის შესავალ-გასავალს თვალყური ადევნონ, სკოლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად იზრუნონ და სხ. ყოველ კვირა-უქმე დღეს დუქნები და სასოფლო კანცელარია დაკეტილი უნდა იყოს, ხალხი წირვას უნდა ისმენდეს და წირვის შემდეგ-კი სასოფლო საქმის წარმოების შესახებ უნდა იქონიოს სჯა და ბაასი და სხ".

მერე ყოვლად სამღვდელომ სოფლის დედაკაცებს მიჰმართა და ამათაც მოკლე დარიგება მისცა.

ბოლოს ეპისკოპოსმა ხალხი დალოცა და თითონ სოფლიდან ანდრონიკაშვილისას წაბრძანდა სოფ. ქოდალოს. ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩა ყოვლად სამღვდელოს მობრძანებითა და დარიგებით და აღუთქვა კიდეც, რომ ვეცდებით თქვენი დარიგება უეჭველად შევასრულოთო.

მოსავალი აქეთკენ საზოგადოდ კარგია; ქერი და პური უხვად მოვა, სიმინდი და ფეტვიც ჯერ ხანობით კარგია და, თუ ამ ცოტა ხანში წვიმა გვეღირსა, იმის მოსავალიც უხვი იქნება.

ქერები კიდეც დამკეს და ახლა პურის მკას შეუდგნენ. ვენახებსაც, მადლობა ღმერთს, ჯერ ხნობით, კარგი პირი უჩანს, მხოლოდ აქ-იქ ცოტა ნაცარი ეტყობა. პატრონები სცდილობენ გოგირდით უწამლონ, რადგან გაგებული აქვთ, რომ გოგირდის ფხვნილი ძალიან ჰკვლავს და ჰშლის დანაცრულს ვაზსაო.

ზიარელი

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთი ახალი პროექტია შეტანილი. ამ პროექტში ნაჩვენებია რამდენიმე საშუალება და სახსარი რუსეთის ხელოსნების ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

— ამ დღეებში რუსეთს დაბრუნდნენ ბელოსტოკელი რაბინი და სხვა დელეგატები, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ პალესტინაში იქ დასახლებულ რუსეთის ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. დელეგატები აღტაცებით იხსენიებენ ამ ებრაელთა ეკონომიურს მდგომარეობას და ამბობენ, რომ წრევანდელი კარგი მოსავალი ერთი ორად უფრო მოუმარათავს ხელსაო.

— შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროში ბაასია იმის შესახებ ატეხილი, რომ სრულად აღიკრძალოს საზღვარ-გარეთიდგან ხელოვნურის მატყლის და მაუდის მასალის შემოტანა, თუ სისტიკად არ გაიწმინდება წამლებით, რადგანაც უკვე აღმოჩნდა, რომ ამ მასალებს გადამდები ავადმყოფობა შემოსდევსო.

— ცირკის მასხარა დუროვი, რომელიც შარშან ჩვენს ტფილისში იმყოფებოდა, წელს ბერლინში მიიწვიეს, მაგრამ, რადგანაც კანონით აღკრძალულია რუსეთიდგან ღორების გატარება გერმანიის საზღვარზედ, ამიტომ დუროვი თავის გაწრთვნილის ღორით, ვენაში შეაყენეს. იქ ამ დღეებში ერთს სასამართლოს გაურჩევია საქმე დუროვისა, რომელიც ქერსონბეკსა და ლიუდერს უჩიოდა თურმე. ესენი დუროვის ამხანაგები არიან. დუროვი იმასა სჩიოდა, რომ ქერსონ-ბეკმა და ლიუდერმა ცუდად მომიხსენიეს, გაიძვერა და მატყუარა რუსი მიწოდესო და სხვ... რადგანაც დუროვმა ბრალდებულთ არ შეუნდო ეს დანაშაული, მოსამართლემ ოცოცი ფლორინი გადაახდევინა დამნაშავეებს.

— მაისის გასულს ქ. ოსტროვში მისულა ერთი ყმაწვილი და მოხდენილი კაცი ახალგაზდა და ლამაზის ქალითურთ და ბირჟის სასტუმროში ჩამომხდარა. მეორე დღეს, როცა მოსამსახურეს სამოვრის შეტანა სდომებია იმათ ოთახში, კარები დაკეტილი დახვედრია. დაარაკუნა თურმე, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. სასტუმროს პატრონს ასე ეგონა, წასულან სადმეო და ჯერ-ჯერობით ყური არ გაიბერტყა. მხოლოდ მესამე დღეს პოლიციის თანადასწრებით გააღეს ოთახი. ტახტზედ იდო თავპირ შებურული მკვდარი ქალი. როდესაც გვამი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ შეიდის თთვის ორსული ყოფილიყო და საწამლავი დაელია. ახალგაზდა კაცი სადღაც მიიმალა. სასტიკად გამოძიება მოახდინეს და აღვილადაც შეიტყეს, რომ ამ საქმეში დამნაშავე ყოფილიყო ბ-ნი გ., რომელიც დინაბურგის მაზრის მცხოვრებელია და იქვე რაღაც ქარხანაცა აქვს. როგორც კარგის ალებ-მიცემობის პატრონს, გ—ს დიდ პატივსა სცემდნენ და ყველგან მიღებული იყო, მაგრამ ეხლა-კი კაცის მკვლელი შეიქნა. გ—მ რომ ცოლი შეირთო, ავადმყოფი გამოდგა და საზღვარ-გარეთ გაისტუმრა მოსარჩენად. მანუკან დაიწყო ცხოვრება თავის მოახლესთან და როდესაც ორსულობა შეატყო, იშოვნა მუცლის წასახდენი წამალი ვიღაც ფერშლისაგან და ურჩია საყვარელს, დალიეო. სწორედ ამისთვის წამოსულიყვნენ ოსტროვში და კიდეცა ამ წამლის მსხვერპლი შექმნილიყო საწყალი ქალი. გ—ს თავიდგან აცილება სდომებოდა ბრალისა, ამიტომ წერილი შეადგინა ქალის სახელით, თავი მე მოვიკალ, ნურავის დააბრალებთო, მაგრამ სიყალბე მალე შეამჩნიეს და დაუწყეს გ—ს ძებნა დასაჭერად. ამასობაში გ—ს უკვე მოესწრო და საზღვარ-გარეთ გაპარულიყო.

## წვრილი ამბები

სტენლის ახალის თხზულებიდგან გაზ. „Русскiя Вѣд."-ს აი კიდევ რა ცნობები მოჰყავს იმ ჯუჯა ხალხის შესახებ, რომელიც სტენლის აფრიკის უტყესსა და მეტად ხშირ ტყეში მოგზაურობის დროს უნახავს: „მე პირველად ვნახე ხნიერი ჯუჯა კაცებიო, მოგვითხრობს სტენლი: მთელი ტანი იმ სიგრძე ბანდითა ჰქონდათ დაფარული,

გლეხს ეძინა და უსინიდისოდ ემალებოდა მუშაობას.

ღენერლების რისხვას საზღვარი არა ჰქონდა.

— გძინავს, შე ზარმაცო! მიაძახეს ორივემ ერთად: და იმაზე-კი ყურსაც არ იბერტყავ, რომ აქ ორი ღენერალი ეს მეორე დღეა შიმშილით ლამის მოკვდეს! მარშ!! გასწი ამ წუთსავე სამუშაოდ!

წამოდგა გლეხი და რასა ჰხედავს: გულ-გამწყრალნი და რისხვით სავსე ღენერლები თავზე დასცქერიან. უნდოდა ჯერ მოექუსლა როგორმე, მაგრამ ღენერლებმა სტაცეს ხელი და არ მოეშვნენ.

მეტი რა გზა ჰქონდა, მოჰყვა გლეხი მუშაობას.

ჯერ ავიდა ხეზედ და ღენერლებს ათ-ათი მწიფე ვაშლი მოუწყვიტა, თავისთვის-კი ერთი მჟავე დაიტოვა. მერე მიწა მოჩიჩქნა და კარტოფილი მონახა; შემდეგ აიღო ორი ხის ნაჭერი, წაუსვ-წამოუსვა ერთმანეთს და გააჩინა ცეცხლი. საკუთარის თმის მახე გააკეთა და კაკაბი დაიჭირა. ბოლოს გააჩაღა ცეცხლი, შეხვა და იმდენი საჭმელი გააკეთა, რომ ღენერლებს ისიც კი მოუვიდათ აზრში: ახლა არა ვაჭამოთ-რა ამ ღორ-მუცელასაო?

შესცქეროდნენ ღენერლები გლეხის შრომას და მეტის სიხარულით გული საგულეს აღარ ჰქონდათ. დაავიწყდათ კიდეც, გუშინ რომ შიმშილით კვდებოდნენ, და მოჰყვნენ თავის ქებას. აი რა კარგია ღენერლად ყოფნა: არსად არ დაიღუპება კაციო, ამბობდნენ.

— კმაყოფილი ბრძანდებით, ბატონო ღენერლებო? ეკითხებოდა თავის მხრით ზარმაცი გლეხი.

— კმაყოფილი ვართ, კმაყოფილი, ძამიავ, ვხედავთ რა შენს ერთგულებას!

— არ მომცემთ ნებას, რომ ცოტა დავისვენო?

— დაისვენე, მეგობარო, დაისვენე, მაგრამ ჯერ ერთი ბაწარი დაგვიგრიხე.

მოაგროვა იმ წამშივე გლეხმა ველური კანაფი, დაასველა წყალში, მოთელა და საღამოსთვის ბაწარიც მზადა ჰქონდა. ამ ბაწრით ღენერლებმა გლეხი ხეზე მიაბეს, რომ არ გაქცეულიყო, და თითონ-კი მოსასვენებლად წამოწვნენ. გავიდა დღე, გავიდა მეორე... გლეხი ისე გამოიცადა, რომ წვნიანის ხარშვაც-კი დაიწყო. გამოძღნენ ჩვენი ღენერლები, დათეთრდნენ, დაფუნჩულდნენ და მოჰყვნენ მხიარულად ლაპარაკს, რომ ჰაი, ჩვენ აქ პატიოსნად ვცხოვრობთ და იქ-კი, პეტერბურგში, ჩვენი პენსია გროვდება და გროვდებაო.

— ნეტავი როგორ ჰფიქრობთ, თქვენო აღმატებულებავ, ბაბილონის გოდოლი მართლა იყო ქვეყანაზე, თუ ეს მარტო ცრუ-მეტყველებაა? ჰკითხავდა ხოლმე ერთი ღენერალი მეორეს საუზმის შემდეგ.

— ჩემის აზრით, თქვენო აღმატებულებავ, ნამდვილად უნდა ყოფილიყო, თორემ როგორ უნდა აიხსნას, რომ ქვეყანაზე სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკობს ხალხი.

— მაშ წარღვნაც იყო?

— წარღვნაც იყო, თორემ, რომ არა ყოფილიყო, რითი განმარტავთ იმ გარემოებას, რომ ამდენი სხვა-და-სხვა მხეცი არსებობს ქვეყნად. მით უფრო, რომ „მოსკოვის უწყებები" მოგვითხრობენ...

— მართლა, მოდი ერთი „მოსკოვის უწყებანი" წავიკითხოთ...

მონახავდნენ მაშინვე გაზეთს, დასხდებოდნენ ჩროს ქვეშ, წაიკითხავდნენ პირველ სტრიქონიდგან უკანასკნელამდე იმის ამბავს, როგორ სჭამდნენ მოსკოვში, სჭამდნენ ტულაში, სჭამდნენ პენზაში, სჭამდნენ რიაზანშიო და, თქვენც არ მომიკვდეთ, არცკი სწყინდებოდათ. გვიან იყო, თუ მალე, მაგრამ მოწყენის დროც დადგა. თანდათან უფრო ხშირად და ხშირად აგონდებოდათ პეტერბურგში დატოვებული მზარეული გოგოები და ხანდახან ჩუმად სტიროდნენ კიდეც.

— რა ამბავია, ნეტავ, ახლა, თქვენო აღმატებულებავ, პოდიაჩესკის ქუჩაზე? ეკითხებოდა ერთი ღენერალი მეორეს.

— ნუღარ მომაგონებ, თქვენო აღმატებულებავ, გული მიწუხდება, გამახსენდება ხოლმე თუ არა! უპასუხებდა მეორე ღენერალი.

— კარგია, ვინ ამბობს, აქ ყოფნა, თქმაც არ უნდა, მაგრამ, იცით, მუნდირიც სახარბიელოა ცოტა და...

— სახარბიელოა და ეგრე! მერე თუ მეოთხე კლასისაა, მარტო ოქროსა და სირმას რომ შეხედო, თავი დაგიბრუვდება! ერთის სიტყვით, დაუწყეს გლეხს ღენერლებმა ჩუჩხური: გინდა თუ არა, პოდიაჩესკის ქუჩაზე წაგვიყვანეო. მერე, როგორ გგონიათ? აღმოჩნდა, რომ გლეხმა პოდიაჩესკის ქუჩა იცოდა, ყოფილიყო კიდეც იქ, ესვა-ეჭამა და ექეიფნა, მაგრამ მხოლოდ ულვაშები დაესველებინა, თორემ პირში ერთი წვეთიც არა ჰლირსებოდა.

— ჩვენ ხომ პოდიაჩესკის ქუჩის ღენერლები ვართ! უხაროდათ ღენერლებს.

— მე-კი, თუ გინახავთ: სახლზე რომ კაცი ჰკიდია ყუთით, ან და ან კედელს ღებავს, ან ბუზსავით რომ დაცოცავს ბანზედ, ისა ვარო! უპასუხა გლეხმა.

სთქვა ეს და მოჰყვა ამ მთისა და იმ ბარისას, უნდოდა როგორმე გაეხარებინა თავისი ღენერლები, რადგან რომ იმათ, ბატონებმა, მისი, უქმიუკლაპიას, ნამუშევარი არ იუკადრისეს. აუგო კიდეც ხომალდი, არა, ხომალდი-კი არა, იმისთანა ჰურჭელი, რომლითაც მთელ ოკეანეს გადაცურვა თვით პოდიაჩესკის ქუჩამდე ადვილი შესაძლებელი იყო.

— შენ ეი, არ გესმის, ყურუმსაღო, არ დაგვარჩო, თორემ!.. დაემუქრნენ ღენერლები.

— დარდი ნუ გაქვთ, ბატონო ღენერლებო! პირველად ხომ არ დავმოგზაურობ წყალზედაო! უპასუხა გლეხმა და მოჰყვა სამგზავროდ მზადებას.

მოაგროვა ბატის ღინღლი და რბილად მოაგო ნავში, ჩააწყო შიგ ღენერლები, პირჯვარი გადასწერა და გაუდგა გზას. იმას-კი ვერც კალმით აგიწეროთ და ვერც ზღაპრად გეტყვით, თუ რა შიში ჰნახეს ღენერლებმა გზაში ზღვის ღელვისაგან და რამდენი აგინეს გლეხს სიზარმაცისთვის. გლეხი-კი უსვამდა და უსვამდა ნიჩბებს და ღენერლებს გზაში ლიფსიტა თევზებს აძლევდა საჭმელად. აგერ, დასასრულ, მდინარე ნევა, აი ეკატერინის საუცხოვო არხი, აი დიდი პოდიაჩესკის ქუჩაც! დაჰკრეს ტაში გოგოებმა, დაინახეს თუ არა თავისი ღენერლები, მაძღარი და მხიარული! დალიეს ღენერლებმა ყავა, დააყოლეს ზედ დათაფლული ბულკები და მუნდირში გამოეწყვნენ, წავიდნენ ხაზინაში და იმდენი ფულები დაბოჭეს იქ, რომ ამას ვერც ზღაპრად იტყვის ადამიანი, და ვერც კალმით აწერს!

მაგრამ არც გლეხი დაივიწყებიათ: ბიჭის ხელით გაუგზავნეს ერთი ჭიქა არაყი და ერთი შაური ფული გამოუტანეს... იქეიფე, რაღა, გლეხო...

რომ ასე გეგონებოდათ ბანჯგვლიანი ტყავი აცვიათო. წინა ტანს მხოლოდ ხის ქერქი უფარავდათ. ხელები მალიან ბინძურად ჰქონდათ შენახული. ჯუჯა ხალხი უფრო ნადირის ხორცით იკვებება. მეტის-მეტად მარდები და სწრაფები არიან. იარაღად აქვთ შუბები, შხამ-წაცხებული ისრები და სხვა-და-სხვა მახე. იჭერენ, სპილოებს, კამეჩებს და ანტილოპებს. მახეებს ამ გვარად უგებენ: ამოსთხრიან დიდს ორმოს, ორმოს ზემოდგან ჩხირებს გასდებენ, ზედ ფოთლებს დააყრიან და შუაზე ცხოველის მისატყუებლად საჭმელს დასდებენ. შედგება თუ არა სპილო ან კამეჩი ამ ჩხირებზე, მაშინვე შიგ ჩავარდება. ამისთანა ორმო ჯუჯა-კაცებს ერთსა და იმავე დროს ბევრს ალაგსა აქვთ და, როდესაც შიგ ჩავარდნილ ნადირს ჰნახავენ, ისრებით მოჰკლავენ ხოლმე. მეტად მარდი ჯუჯა-კაცები ისეთის ოსტატობით და ხერხით ნადირობენ, რომ იმათს ტყეებში ნადირი სრულიად გადაშენდებოდა, ერთს კარგს ჩვეულებას რომ არ მისდევდნენ: ერთს ალაგას დიდხანს არა რჩებიან, ერთგან რომ მოინადირებენ, ახლა სხვაგან გადადიან. რადგანაც მუდამ აქეთ-იქით დაეხეტებიან, იმისთანა ბილიკი, იმისთანა კუნჭული არ მოიძებნება უზარმაზარს ტყეში, რომ ნახული და ნასიარულევი არა ჰქონდეთ. ამითი სარგებლობს იმათ ახლო მცხოვრები მიწის მუშა, მეტად მაღალი, ახოვანი და ლამაზი ხალხი, რომლის დასარბევადაც შორიდგან მოდიან ხოლმე მეომარნი ნადირ-კაცნი. ამ გვარ გაჭირების დროს მიწის-მუშა ხალხი ჯუჯა-კაცებს მიიმხრობენ ხოლმე, ასმევენ, აჭმევენ, აჯილდოვებენ და, რადგანაც ჯუჯებმა თავის ხუთის თითივით იციან ტყის ყოველი ბილიკი, გამარჯვებაც იმასა რჩება, ვისკენაც ისინი არიან. სიმხნითა და სიმარდითაც ვერავინ შეედრება ამ პატარა კაცებს, მტერს უეცრად და მამაცად შეუტევენ ხოლმე და საშინლად აზიანებენ. რაკი საფრთხეს თავს გადაარჩენენ, მიწის მუშა მეზობლები სცდილობენ, მალე მოიშორონ თავიდგან და დაუკავებითა და სხვა-და-სხვა საჩუქრით უკანვე ისტუმრებენ. ერთის სიტყვით, ჯუჯა ან, ქონდრის კაცები იმათს მიწის-მუშა მეზობლებს მუქთახორად ჰყავთ, სწორედ.

## გამოსადეგი ცნობანი

**დარიგება ხოლერით ავადმყოფთათვის**: ავადმყოფმა სხეულში თრიაქი და გრეხ-წოდებული ტანნინი უნდა შეიშხაპუნოს. აი რეცეპტი შესაშხაპუნებელ წამლისა: ტანნინი 5 გრამმი, გუმმიარაბიკი 50 გრამმი, დაყენებულ თრიაქის წვეთი ოცდა-ათიდამ ორმოც-და-ათ წვეთამდე, ნადუღი წყალი 2000 გრამმი 38°- ცელსისა. ამას შემდეგ ოყნა უნდა გაიკეთოს. წყლის მაგიერ კარგი იქნება ცივი ჩაი და ლიმონადი სვას და ყინული ჰყლაპოს. სასარგებლოა სხეულში მარილ-წყალი შეიშხაპუნოს. რასაკვირველია, უექიმოდ ავადმყოფს არავინ უნდა შეუშხაპუნოს არც თრიაქი და ტანნინი და არც მარილ-წყალი, რადგანაც შეიძლება მეტი მოუვიდეს და, სარგებლობის მაგიერად, ვნება მოუტანოს. ხოლერით ავადმყოფს ხელ ფეხი ეკრუნჩხება. ამის ასაცილებლად ტანი უნდა დაიზილოს და ის ასო, რომელიც ეკრუნჩხება, თბილად უნდა შეეხვიოს-შეებორბლოს.

**ვარდის წყალი**. წყლით სავსე ქვაბში ვარდი ჩაჰყარეთ, დაბანილისა და სუფთა ხელით გამოსწურეთ და შემდეგ შიგ ცოტაოდენი გოგირდის სიმჟავეც ჩაასხით. ასე გამოწურული ვარდი იმავე ქვაბით რვა დღე სადმე სარდაფში შეინახეთ. ამ ხნის შემდეგ წყალს მშვენიერი ვარდის სურნელება და ვარდის ფერი მიეცემა.

### პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი.

| | მყიდველი | | გამყიდველი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | | „ | 6 | 94 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | | „ | $138\frac{1}{4}$ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 12 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 231 | |
| —მეორისა | $215\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა | $212\frac{1}{4}$ | | — | „ | $210\frac{3}{4}$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


**მიხ. ალ. ნასიძე**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—6)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,**

შედგენილი

**მოსე ჯანაშვილის-მიერ.**

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (5—3)




ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართულია

ფხვნილი

**თმისა და ბალნის მოსაცილებლად**

(Poudre dépilatoire)

გ. კ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.

ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება შხამიანი არ არის და სრულიად უვნებელია.

შუშა ღირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.

ისყიდება ს.-პეტერბურგს. ალექსანდრე ვენცელთან, ეკატერინეს უბანში № 26. (8—2)

**Съ 1-го іюля 1890 г.**

РЕДАКЦІЯ ЕЖЕМѢСЯЧНАГО ИЛЛЮСТРИРОВАННАГО ЖУРНАЛА

**ДЕШЕВАЯ БИБЛІОТЕКА**

(ПЕРЕВОДНЫЕ РОМАНЫ, ПОВѢСТИ И РАЗСКАЗЫ СО ВСѢХЪ ЕВРОПЕЙС. ЯЗЫК.)

вступаетъ во второе полугодіе своего существованія, съ увѣренностью, что ею сдѣлано все зависящее отъ нея для удовлетворенія подписчиковъ журнала. Увѣренность эта подтверждается тѣмъ, что **подписка на журналъ** съ третьяго же мѣсяца **значительно превысила ожиданія редакціи, и первыя двѣ книги совершенно разошлись.** Получая ежедневно новыя требованія на годичное изданіе ДЕШОВОЙ БИБЛІОТЕКИ, редакція, къ сожалѣнію, вынуждена предложить этимъ лицамъ подписку лишь

НА ВТОРОЕ ПОЛУГОДІЕ

ЕЖЕМѢСЯЧНАГО ИЛЛЮСТРИРОВАННАГО ЖУРНАЛА

**ДЕШЕВАЯ БИБЛІОТЕКА.**

ЦѢНА СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ И ДОСТАВКОЮ

**1 руб. 50 коп.**

за шесть мѣсяцевъ.

**Въ интересахъ полугодичныхъ подписчиковъ въ іюньской книгѣ окончатся печатаніемъ всѣ начатые ранѣе романы.**

Независимо отъ этого, редакція имѣетъ возможность удовлетворить ограниченное число подписчиковъ, желающихъ подписаться на журналъ, начиная съ 3-ей книги, т. е. на 10 мѣсяцевъ съ уплатою **2 руб. 50 коп.** за 10 книгъ съ пересылкою и доставкою, или на 12 мѣсяц., съ 1 марта 1891 г., съ уплатою **3 руб.** за 12 книгъ съ пересылкою и доставкою. Гг. иногородные подписчики благоволятъ обращаться исключительно въ контору редакціи—Москва, Петровка, домъ Левенсонъ **Дешевая Библіотека.**

**Въ вышедшихъ 6 книгахъ было напечатано:**

**Сама жизнь**—больш. иллюстр. романъ *Дельпи* (съ франц.); **Осія**—больш. романъ *Эберса* (съ нѣмецк.), **Наступитъ день**—больш. ром. *Брэддонъ* (съ англійск.); **Молодость**—больш. иллюстр. ром. *Коппе* (съ франц.); **Эва**—больш ром. *Верга* (съ итальянск.); **Дамская война**—повѣсть *Минда* (съ норвежск.); **Златко**—ром. (съ болгарск.); **Шехъ черныхъ собакъ**—разск. (съ нѣмецк.); **Снѣгъ идетъ**—разск. *Кастельнуово* (съ итальянск.); **Кресси**—больш. ром. изъ американской жизни *Брэтъ-Гарта*; **Непробудный сонъ и Поцѣлуй**—разск. *Гомулицкаго* (съ польск.); **Подъ проклятіемъ**—пов. *Веселиновича* (съ сербскаго); **Завѣтныя пряжки**—пов. изъ индійскихъ нравовъ *Пассова*; **Женская рука**—пов. *Диллинга* (съ норвежскаго); **Майорша**—пов. *Ольтрофа* (съ нѣмецк.); **Дорисъ** съ рисунками—пов. *Галле* (съ фран.); **Ницефоръ**—пов. *Гомулицкаго* (съ польск.); **Наше сердце**—больш. романъ *Мопассана* (съ франц.) и др.

**Въслѣдующихъ книгахъ выйдутъ:** *„Клеопатра“*—больш. иллюстр. романъ *Райдеръ Гегарта* (съ англ.); *Пьеръ Лоріе*—больш. иллюстр. романъ *Онэ* (съ франц.); новый иллюстр. романъ *Безанта* и *Маріонела* (съ испанск.) (3—1)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—23)


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე